


საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 2 ნოემბერი, 2013 წელი.

№212 (7339)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

მოსახლეობის სასაშუალო ბოლო ფართობი

3

უფუნესიოდ დარჩენილი უშიშროების საბჭო

4

ბრილიანტი ძმები — გვარად გამსახურდიები

7

დღის ამფრაზურიდან

ეყოთ პარპაში!..

ქუჩაში გაგონილი დიალოგი

— იქნებ სულაც შემთხვევითი დამთხვევაც არის, მაგრამ ფაქტია, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ რაღაც სასიკეთოდ შეიცვალა ამინდი.

— ვითომ რატომ?

— რატომ და, ის ჩვენს წილ მზეს ჩამოფარებული ცივი კაცი მოგვმორდა.

— მერე?

— რა მერე!.. ვერა ხედავ, რა თბილი დღეებიც და-იჭირა?! მთელი ნოემბრის პროგნოზიც კარგია.

— შენ კი ამბობ, მოგვმორდაო, მაგრამ ვითომ სა-ბოლოოდ მოგვმორდა?

— ყოველ შემთხვევაში, თავი ქუდში კი არა, ყულ-ფში აქვს... გააჩნია, რა ძალითა და სიმძიმით დაეჭა-ჩება ათწლიან დანაშაულობათა უნამუსობის თოკი.

— ეგ თოკი, გენაცვალე, თავისით არ დაეჭაჩება. კა-ნონმა და კანონის გამტარებლებმა უნდა დაქაჩონ.

— კი, ბატონო, მაგრამ რაღაც საეჭვოდ ითრევენ ფეხს ეგ კანონიცა და ეგ კანონის გამტარებლებიც.

— ვნახოთ, როდემდე აითრევენ... ხალხის მოთმი-ნებას ნუ ეთამაშებიან. ხო გაგიგონია, ვაი იმას, ვინც ხალხს თავს აათრევენებსო.

— კარგი, კარგი. მთავარია, რომ მზიანი ამინდე-

ბია და თბილა... ეგ 22 პროცენტი ნუ გაშფოთებს.

— მაგ ოცდაორს მე როგორც ოცდაორს კი არა, რო-გორც ორ ორიანს, ისე აღვიქვამ... ხალხმა ნაციო-ნალებს ერთდროულად ორი ორიანი დაუნერა. ასე რომ სულ ტყუილად ყელყელობენ. თუმცა, ჯერჯე-რობით ყულფის გარეთ...

— რა ვქნა, ძალიან მჯერა, რომ მაგ ყულფის გა-ნასკვის დრო უკვე მოსულია. ეგ დამნაშავე ცივი კაცი სულ ტყუილად დარბის!..

— არ გეგონოს, რომ ტყუილად დარბის. ეგ მაოხრე-ბული გზირია. მაგას დროზე უნდა გაჩერება.

— მართალი ხარ. მართო მაგას კი არა, მაგის ლა-გამნაყრილ დამქაშებსაც... ეყოთ პარპაში!..



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

ალიანს-ჩალიანი

ნაზარბაევნი მარგველაშვილს გამარჯვებას ულოცავენ

ამის შესახებ ვაზახური სააგენტო Tengrinews იუწყება. გიორგი მარგველაშვილისთვის მისალოც წერილში ნურსულთან ნაზარბაევმა რწმუნა გამოთქვა...

ზინ ვასვილის

ირაკლი ღარიბაშვილს?

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი კახი კალაძის თქმით, პირველად ესმის ინფორმაცია იმის თაობაზე...

უიგურების საჭრის მდინად

ირინა იმერლიშვილი ინიშნება

რომლოც დეპუტატმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, შეთავაზება მიღებული აქვს და თანამდებობაზე განაცხადა...

რწმუნებათა სიგელაბი გადასც...

შირდიხანდის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა ზურაბ პატარაძემ...

პატარაძეს ყირგიზეთში დიპლომატიური მისიის ოფიციალურად დაწყება მიულოცა. პრეზიდენტის განცხადებით, ყირგიზეთი დაინტერესებულია საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთქმედების შემდგომი აქტივიზაციით...

პარლამენტი - კვილ. ახალ შენობაში

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დადიანოვი უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

მანანა ბერიკაშვილი

პარლამენტარი გახდება

საპარლამენტო სიაში იმერლიშვილის ადგილმონაცვლე მანანა ბერიკაშვილია, რომელსაც ამჟამად კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობა უკავია.

ითხოვენ ალექსანდრე

ანტაპის იმპიუმენტს

გამრცელებული ინფორმაციით, რაულ ხაჯიმბაშვილმა ანტაპის არეულობიდან მმართველობაში დააბრუნებულა და განაცხადა, რომ ქვეყანაში ისეთი პროცესები ხდება...

ვილოცვა

შენი ხატია სამშობლო

მიმართვა ბატონ გიორგი მარგველაშვილს




ბატონო გიორგი,

სამშობლო რომ ქვეყნისათვის ხატია შენი, ქვეყნისთვის უმნიშვნელო მოღვაწეობით მრავალჯერ დამტკიცებული ეს აკაკისული თეზა კიდევ უფრო განამტკიცე მიმდინარე წლის 21 ივნისს, მგოსნის დაბადების დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ჩვენთან...

სხვიგორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა სახელით ცეზარ ლაშქინი, მუზეუმის დირექტორი.

კვლევის კამერა



აუზ-ის საელჩო გელათის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის დასაწყისს

რეაბილიტაციისთვის 600 000 დოლარი გამოიყოფა. პროექტს საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტთან თანამშრომლობით განახორციელებს.

ინტერპრესი

ინტერნეტიდან

„მიზანს დააკაშეშება თუ ისტორიის დასასრული საქართველოში?“

„ბილოცავში ახალ ფილოსოფოს პრეზიდენტს, ქართველებო. იქნებ ამ კაცით მაინც იყოთ კმაყოფილი“ „საგანგაშოა, რომ საშუალო სტატისტიკურ ქართველს გამოთავიანების აშკარა ნიშნები ეტყობა. ვერბთა თავიანთების გამო სომ არა“

ბიზნესის პოლიტიკა და არჩევნები. აქ ყველაზე სწრაფად შეგიძლია გამიძიდდე. „იმედი მაქვს, ახალი მთავრობა აღარ გაიმეორებს ძველ შეცდომებს. იმედი მაქვს, არ ვინანებთ დღევანდელ არჩევანს. იმედი მაქვს, ახალი პრეზიდენტი მთელ თავის ენერჯის და ცოდნას საქართველოს აღზევებს მოაბმარს და ყველაზე დიდი ფასეულობა მისთვის აღამიანური ღირებულებების პატივისცემა იქნება! ბევრი სიკეთის იმედი მაქვს. თქვენ“

„მაქვს იდეა - პრეზიდენტის რეზიდენციაში განთავსდეს რუსთაველის მუზეუმი, რომელიც ამავდროს იქნება ქართული რენესანსის მუზეუმიც! „მე ეთნოგრაფიულ მუზეუმს ვარჩევდი (რენესანსის მუზეუმი ღარიბი იქნება). ყველა კუთხე თავის ნივთიერი და ტრადიციული ფასეულობით“ „ლევან გაჩეჩილაძე: დამთავრდა უბედურება, მთელ ხალხს ვულოცავ!“ „ხან მართლა მგონია, რომ ღირსები ვიყავით! ვიყავით და ვართ კიდევ!“ 9 წელი კი არა, 99 წელი იმ ტანჯვაში უნდა ვიყოთ, ცისებში და ზოგადად ქვეყანაში რომ იყო და მერე ვისწავლიდით მაღლიერების გრძნობას... ბევრი რამ არ მომწონს ახლანდელი მთავრობის, მაგრამ სისულელეა ადამიანს, რომელიც მართლა მსხნელად მოეწონა ამ პერიოდში საქართველოს, ის დასაწამო, რაც არ ჩაუდენია.

„მევერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება... ბოლო ბოლო ზრდასრულ ხალხთან გვაქვს საქმე და არა იმ უსახურ, გაურკვეველ „ბავშვებთან“, რომლებიც 9 წელი პოლიტიკოსობას თამაშობდნენ.“ „ძველებისგან გამიგან: რამე მნიშვნელოვანს ხმამალა რომ აზრობ, სიტყვები ფრთხილად შეარჩიე, „მისმინემ“ არ ჩამოიაროს! მარგველას ტექსტი მახსენდება ეკა ბერიძის „ღია ეთერის“ ტიხარიდან: აღამიანის გარეგნობა მომცა, სააკაშვილის სიმაღლე, ბნელდუქიძის ფული, ვილდის ჭკუას ასხენდა კიდევ და იცით რა პრეზიდენტი ვიქნები! ხოდა, ჩამოიარა მაგ დროს „მისმინემ“, მოუსმინა და თავისი გარეგნობით, თავისი სიმაღლით, თავისი ჭკუით და ფულით კი გახდა პრეზიდენტი!“ „მიადნის ნაცებმა სანადვლის - დაფიქსირეს მეორე ადგილი. არა აქვს მნიშვნელობა, გადაყალბეს თუ ნაღდია. კოჰაბიტაცია თქვენ ანი ნახეთ და ყველაფერში დამაწავე, ბიძო, შენა ხარ!“ „მორჩა, ყოველ მეოთხეს რეალშიც და აქაც ეჭვით გიყურებთ. ვაითუ ნაცები ხართ?“ „რამხელა სისულელეა, ოპოზიცია ერქვას კრიმინალურ დაჯგუფებას და აკონტროლებდეს მთავრობას! კარგად დაფიქრდეს ახალი მთავრობა, კრიმინალს მხოლოდ მასზე მეტი კრიმინალის გაკონტროლება შეუძლია“

ნათა ნიჭლაძე

პიტიარება

რბ ფუნქციები ჰქონდა უშიშროების საბჭოს ბოკერის დროს და როგორი იქნება მისი პერსპექტივა მომავალში? ვეფელასათვის ცნობილია, რომ ნაციონალური დროს აღნიშნული უწყება, ქვეყნის უშიშროების საკითხების ნაცვლად, მმართველი გუნდის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. სწორედ ამისთვის იყენებდა ეს სტრუქტურა გაფართოებულ უფლებებს, აგვისტოს ომმა კი ჩვენს უშიშროების საბჭოს სრული უუნარობა გამოავლინა.

უკვე ცნობილია, რომ უშიშროების საბჭოს მდივანსა და მთელ საბჭოს ფუნქციები ეკვეცება. ამ სახის ცვლილებები ახალმა რეალობამ მოიტანა. კერძოდ, აქამდე უშიშროების საბჭო პრეზიდენტს დაქვემდებარებულ ორგანოდ ითვლებოდა, პრეზიდენტის უფლებების შეცვლასთან ერთად კი მცირდება ამ ორგანოს ფუნქციებიც.

გარდა ამისა, უშიშროების საბჭოს მდივანს აქამდე მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, კოორდინაცია გაეწია სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობისთვისაც და ის, ფაქტობრივად, შს და თავდაცვის სამინისტროებს ზედამხედველობდა, რაც ყველაწინა პრინციპს ეწინააღმდეგებოდა.

ამიერიდან კი პრეზიდენტის სათაბირო ორგანო ძირითადად ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე იქნება ორიენტირებული, საგარეო და საშინაო საკითხების განხილვაში მონაწილეობის უფლება კი ჩამოერთმევა. გარდა ამისა, მას ექნება გარკვეული ფუნქციები საომარი მდგომარეობისას.

როგორი უნდა იყოს უშიშროების საბჭოს ფუნქციები და როგორ მოიხდეს ამ უწყების ფუნქცია ნაციონალურმა? ამ საკითხებთან დაკავშირებით For.ge ექსპერტებს ესაუბრა.



უფუნქციოდ დარჩენილი უშიშროების საბჭო

როგორც ქვეყნის შიდა, ისე საგარეო უსაფრთხოების საკითხებს ამუშავებდა. ასევე, კურირებდა ძალოვან სამინისტროებს. შემდგომი უშიშროების საბჭოს მდივნების პერიოდში ეს ორგანო უფრო მეტად აღიჭურვა ანალიტიკური ფუნქციით, ანუ იმ კლასიკური ფუნქციით, რაც მას აქვს იმავე აშშ-ში. ბოკერის დროს ისევე ძალიან დიდი ფუნქციები აიღო ხელში. ბოლო წელს კი, კოპაბიტაციის პირობებში, უშიშროების საბჭო, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებდა და კლასიკური ტიპის უშიშროების საბჭოს ფუნქციას არ ასრულებდა.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე მიიჩნევს, რომ მთავარია, ახალ რეალობაში, ახალი კონსტიტუციის პირობებში რა ადგილი ექნება უმაღლეს მთავარსარდალს, ქვეყნის პრეზიდენტს და მას როგორი უშიშროების საბჭო დასჭირდება თავისი ფუნქციების განხორციელებისთვის. თუმცა, ექსპერტის აზრით, მთელი თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა ხელახლა გვაქვს შესაქმნელი.

„უშიშროების საბჭო სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ფუნქციონირებს. მაგალითად, საფრანგეთში სხვაანაირად არის დანაწილებული პრემიერ-მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს შორის პასუხისმგებლობა ომისთვის სამზადისში. იქ ამ ტიპის ორი დონის საბჭო არსებობს – ერთი, რომელიც პრეზიდენტს ექვემდებარება და მეორე, რომელიც სამუშაო ჯგუფია და პრემიერ-მინისტრთან არსებობს. გერმანიაში მთლიანად უშიშროების საბჭო არსებობს, რომელსაც ერთი დონე აქვს, მაგრამ იქ თავდაცვის მინისტრს აქვს საბრძოლო დავალებების გაცემის უფლება. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომელ მოდელს ავირჩევთ. რაც აქამდე იყო, ეს იყო პოლიტიკური ორგანო. სწორედ შემთხვევაში, ის იყო პრეზიდენტის აპარატი, რომელიც ესმარებოდა პრეზიდენტს ძალოვანი უწყებების დამორჩილებაში და ის დანაშაულო იყო ამა თუ იმ პრეზიდენტის. ამდენად, თავის

პირდაპირ მოვალეობებს ნაკლებად ასრულებდა“, – აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

მისი თქმით, საბჭოთა კავშირის გამოცდილებით შექმნილი ძველი უშიშროების საბჭო, ნუგზარ საჯაიას დროს, დაკავებული იყო ძალოვანების უშუალო და პირდაპირი მართვით. საჯაია, ფაქტობრივად, სრულად აკონტროლებდა ძალოვნებს და წარმოადგენდა შევარდნაძის პოლიტიკის გაგრძელებას. სწორედ შემთხვევაში, შევარდნაძეზე დიდი გავლენაც ჰქონდა. ის დაკავებული იყო ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებით, თუმცა, ხდებოდა კომპეტენციის ფარგლებს გარეთაც გასვლა, განსხვავებით ბოკერისაგან, რომელიც ძირითადად დაკავებული იყო პარტიული პოლიტიკის გატარებით და მის დროს უშიშროების საბჭოში იხარშებოდა პოლიტიკური თუ პარტიული ბრძოლის სტრატეგიები.

ექსპერტის აზრით, ნაკლებად იგრძნობოდა, რომ ბოკერია დაკავებული იყო ძალოვანებით ან უსაფრთხოების პრობლემატიკით. მისი თქმით, ფაქტობრივად, ვინც მერაბიშვილს გააჩნდა სრული ავტონომია შს სამინისტროში, ბაჩო ახალაიას – სრული ავტონომია თავდაცვის უწყებაში. აქედან გამომდინარე, ბოკერისა შემოქმედება, თუკი ასეთი არსებობდა, გამოისატებოდა, ალბათ, სააკაშვილისთვის რჩევის მიცემაში. თუმცა, გიორგი თავდგირიძე ფიქრობს, რომ ეს ფუნქციაც დაიკარგა და უშიშროების საბჭო შემოქმედებას ვეღარ ახდენდა უმაღლეს მთავარსარდალზე, როცა ის გადანაცვლებების იღებდა. კერძოდ, ეს გამოჩნდა 2008 წელსაც, როცა სააკაშვილი, ალბათ, უჯერებდა ყველას და ყველაფერს, გარდა უშიშროების საბჭოს, რომლის სხდომებიც მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. უფრო მეტიც, პარტიული ლიდერების ვინცო წრეში თათბირის დროს წინასწარ იყო გადანაცვლები ყველაფერი.

„უშიშროების საბჭო არ მონაწილეობდა საჭირო დონის დონებში, რისი კომპეტენციაც ჰქონდა. ამიტომ ამ საბჭოს რეფორმირება აუცილებელია და უშიშროების საბჭო უნდა დაიბრუნოს თავისი როლი, რადგან ასეთი საბჭო აუცილებელია უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაში. ეს ის რგოლია, რომელმაც სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაცია უნდა გასწავლოს საგანგებო სიტუაციებში ან ომის დროს. ამისთვის მზადება მშვიდობიანობის პერიოდშია საჭირო. გარდა ამისა, ბევრი ნიუანსური ამოცანა აქვს უშიშროების საბჭოს აპარატს, რომელიც ყოველდღიურად უმზადებს უმაღლეს მთავარსარდალს ანალიზს, თუ რა სადგამა მმართველობებში. გასაგებია, რომ ამ საბჭოს უკვე ჩამოშორდება საგარეო საკითხების კომპეტენცია, რადგან პრეზიდენტს აღარ აქვს აღმასრულებელი ფუნქციები და პრემიერ-მინისტრი აგებს პასუხს მშვიდობიანობის დროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. ეს ფუნქცია თუ მოაკლდება უშიშროების საბჭოს, დიდი დანაშაული არ იქნება, მაგრამ აქ არის მეორე საკითხი, – კომპეტენციის გამოჯენა,“ – აცხადებს გიორგი თავდგირიძე და აინტერესებს, მშვიდობიანობის დროს ვინ იქნება პასუხისმგებელი ქვეყნის მზადყოფნაზე სამხედრო თვალსაზრისით?

მისი თქმით, უმაღლესი მთავარსარდალი პასუხისმგებელია, ომის პერიოდში უხელმძღვანელოს თავდაცვის სისტემას, მაგრამ საინტერესოა, მშვიდობიანობის დროს პრემიერ-მინისტრს ექნება ეს ვალდებულება? ამიტომ, ექსპერტის აზრით, სამუშაო მეტად რთულია და პრემიერ-მინისტრსაც უნდა ჰქონდეს გარკვეული უწყება, რომელიც მას დაეხმარება ამ მიმართულებით, და პრეზიდენტსაც უნდა დარჩეს ეს უფლება, რადგან ომის დროს აუცილებლად დასჭირდება საგანგებო სიტუაციებისთვის საჭირო უფლება.

მანანა ნოზაძე

კაკალ გულში

წერთილოვანი ფრაზები

● მისიელ სააკაშვილი ერთი შენი მიჯიორნულების კუბალინიკიანი ფოტოები დადე. ამობურცული ადგილები რო არ დაუტოვებ არცერთს – რაც იღებება ყველაფერს რო ქამ.

● ეს „კარგი მენეჯერი“ ოცნების ცინია? იმერელი შეილსაც ხო არ იჭერენ?

● სუბელიანის საკანს გარედან ნომრის მაგივრად რა ეწერება MCCAIN-ი?

● გავარტყი იმ პროკურატურას, ბაჩო ახალაიას რო ბრალს ვერ წაუყენებს და იმთავაც, ვინც ამნაირი პროკურატურის გაპრაგებას დაიმწყებს. აბა ჩემთან და ჩემნაირებთან გაქვთ, თქვე ჩემისებო, დიდი გული?

● წინასწარმეტყველების წიგნი წერია თურმე, ქართველებსო ერთი ათი წელი გაგაჭირდებათ კიდევო და მერე... მიწვევითო.

● ასტა კოჭი, დასტა კოჭი, მაინც ჩატარდება სოჭი.

● რალაც კვლევას ვატარებ და და-ზუსტებული მონაცემები მჭირდება – წყაროს სათავესთან რო გველესაბი

ინვა და ქალებს ითხოვდა, იმ ქალებს ვილეს იმენა ქამდა?

● რა საოცარი რეალობაა ამ ქვეყანაში!



ნაწი: ხალხი იმას კი არ აანალიზებს, როგორ მოიპოვებს სადისტებიზმ მფორე ადგილი, არამედ საცურაო კოსტიუმების თემა გახდა აქტუალური. გავიგეთ რა, რომ ზღვაში, ან საცურაო აუზში ჩოხა-ახალხით არ ცურავენ... გვესმის...

● ახლა ხელისუფლებაში დაახლოებით იგივე ვითარებაა, რაც იყო „ქართული ოცნების“ ფორმირების დროს. ენ. სტერილური პერსონაჟები, რომლებიც ვალოდია ჯინჭარაძეები იყვნენ და არიან, გამალებით ცდილობენ თანამდებობების მოპოვებას აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამ გზიდან მოხერხებულად იშორებენ ყველას, ვინც შესაძლო კონკურენტებად წარმოუდგენიათ. ჯინჭარაძეებო, მიადით, იმოქმედეთ, ეს სომ თქვენი პროფესიაა, წესიერი ადამიანების გზიდან ჩამოშორება.

● ახალი პრემიერის კანდიდატურა ელისო კილაძესთან გადაიმონებულა?

● ვინც მიშამ გამოუშვა შეწყალება, აი ის ნაცნობ-მეგობრები, ყველა უნდა შეაბრუნოთ უკან, გინდა წამალი ჩაუდეთ, გინდა იარაღი, ოღონდ ის, რაც სასამართლომ მიუსაჯა ბოლომდე მოისადონ!

● არასდროს არ ვამართლებდი გაჩაღილებულ ბრალდებებს, მარა ახლა, ჩემდათავად, ხმის ამომღების დედა ვატირე!!!

**ამოკრება
ბიბა ბაბურიძე**

ალიან-გალიანი

კულტურის სამინისტრომ 1000-მდე დევნილ ბავშვსა და 71 დევნილ კვლავილ ბავშვს მუშაობა აიღო

რომორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან აცნობეს, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად საქართველოს მასშტაბით კომპაქტურად ჩასახლებულ პუნქტებში გახსნილი 12 სახელოვნებო სკოლა კულტურის სამინისტროს ძალისხმევით აღდგა. შედეგად, წეროვანში, გორში, მტკვრში, წილკანში, კოდაში, თელიანში, შავშვებში, სკრაში, კარაღეთში, ხაშურში, მოხისსა და ახალსოფელში 71 დევნილი პედაგოგი განაახლებს მუშაობას, 1000-მდე ბავშვი კი უფასოდ დაეუფლება ხელოვნების დარგებს.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ფონდის მიერ „ხელოვნების თანადგომისათვის“ 2008 წელს გახსნილი თორმეტი სახელოვნებო სკოლა 2013 წლიდან შეწყვეტილი ფუნქციონირება, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარას ინიციატივით, ნოემბრიდან ამ კერების ახალი ეტაპი დაიწება.

კვალი ნათელი



დღეს ომარ პარკელაშვილი 80 წლის გახდებოდა.

სამწუხაროდ, გახსენების კონტექსტში გვიხდება საუბარი კაცზე, რომელმაც სიცოცხლეშივე დაიმსახურა ღირსეული მამული შვილის მაღალი სტატუსი, გარდაცვალების შემდეგაც მაღლდება მისი ავტორიტეტი, გულწრფელად ჩამოყალიბდა მისადმი პატივისცემა, საზოგადოებას არა მხოლოდ ახსოვს, არამედ დღესაც გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწედ აღიარებს მას. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. ერთეულთა ხვედრია ასეთი საზოგადოებრივი შეფასება-აღიარება. ომარ ვარძელაშვილმა ეს დაიმსახურა.

გულანთებულ პრისკასებს არ ივინყებენ

ზომლად დიდია მისი ღვაწლი ქვეყნის აღმშენებლობაში. განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკის აღმავლობაში. მისი, როგორც ორგანიზატორის ნიჭი სრულად გამოვლინდა ქვეყნის აგრომრეწვისა და საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელად მუშაობისას. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში იგი თავიდანვე ჩაერთო და თავისი გამოცდილებით დიდი წვლილი შეიტანა ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირებაში. იგი სათავეში ედგა ეკონომიკის სამინისტროს, რომლის სწორ კონცეპტუალურ პოზიციებზე არსებითად იყო დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესის სწორად წარმართვა. მან ექსტრემალურ პირობებში შეძლო ეკონომიკის განვითარების სწორი მიმართულებების განსაზღვრა. სამწუხაროდ, შემდგომ პერიოდში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ეკონომიკა განვითარების სწორ გზას ასცდა და დღეს იგი არაეფექტური სისტემის სახით ფუნქციონირებს.

ყოველთვის ცდილობდა, ეცხოვრა, ემოღვაწა მართალი კაცის პრინციპებით. მან ეს შეძლო. იგი ყველას და ყველაფერს მიმართ სამართლიანი კაცი იყო. როგორ სჭირდება დღეს ქვეყანას ომარისნაირი სამართლიანი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, განათლებული მამულიშვილები! ომარ ვარძელაშვილი ნდობის კაცი იყო. საზოგადოება ენდობოდა მას. იგი კარგად ხედავდა თუ როგორ იზრდებოდა მის თვალწინ ომარ ვარძელაშვილი, როგორც სტუდენტი, როგორც ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი, როგორც პროფესიონალი (სწავლული აგრონომი და ეკონომისტი), როგორც საქართველოს წარმომადგენელი უცხოეთში (იგი თავისუფლად ფლობდა ფრანგულ და რუსულ ენებს), როგორც ქვეყნის აღმშენებლობის ერთ-ერთი ლიდერი. ომარმა რთული ცხოვრებისეული გზა სახელოვნად გაწვლილი. იწვინა ობლობაც, სიღუპეც, უსამართლობაც. გადაიტანა მძიმე ტკივილებიც, ამასთან ეზიარა წარმატებებს, პრაქტიკულად გამოსცა საზოგადოების საყოველთაო პატივისცემის ძალაც და აღიარებაც. მან შეძლო, ამაყად ეზიდა თაობის ღირსეული წარმომადგენლის მძიმე ტვირთი, ერისკაცის ზოგადი სახე მისეული ხელნერით შეეფხო და წარმოედგინა. ამით შექმნა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იყოს ქართველი პატრიოტი. როგორ სჭირდება დღეს საქართველოს ომარისნაირი გულანთებული კაციები - პატრიოტები. ომარი გამოირჩეოდა ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებითა და ფა-

ქიზი დამოკიდებულებით. მან ქალბატონ ნათელა ბერიძესთან ერთად შექმნა სანიმუშო ოჯახი, რომელმაც ქვეყანას ორი ღირსეული შვილი - დღეს აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწენი - გიორგი და მანანა ვარძელაშვილები - აღუზარდა. დღეს ომარის შვილიშვილები თეონა და ომარ ვარძელაშვილები (უმცროსი), ნუცა მაჩაიძე იმის იმედს გვაძლევენ, რომ სახელოვანი ბაბუის მიერ რუდუნებით შექმნილ ტრადიციებს უფრო გააღრმავებენ და ბაბუასეული შემართებით, მგზნებარებით და პასუხისმგებლობით ემსახურებიან დედა სამშობლოს. ომარმა სიცოცხლესთან განშორებისას დაწერა: „ღმერთო, მიდღეგრძელო საქართველო და შვილები!“ და ამით გულწრფელად აჩვენა საკუთარი ხელნერა. მკითხველმა თავად განსაჯოს ვინ იყო ამ სტრიქონების ავტორი. რწმენით, გრძნობით, პასუხისმგებლობით, ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულით აღვსილი ქართველი. ღრმად ვარდარწმუნებული, რომ ომარის სურვილი-ოცნება აღსრულდება: საქართველო მომავალშიც იდღეგრძელდება და მისი და ომარის შვილები სამშობლოს აღმშენებლობას წარმატებით გააგრძელებენ. ომარ ვარძელაშვილის ფენომენის განსაკუთრებული მხარე ის გახლავთ, რომ მას, როგორც მამულიშვილს, აღიარებდნენ, იგი დღესაც ახსოვთ და მისადმი პატივისცემას გამოხატავენ, მას მომავალშიც მადლიერებით მოიხსენიებენ. ერისკაცებს საქართველოში არ ივიწყებენ.

ნოდარ ჭითანაძე

არჩევნების შედეგ

საპარტიო უპრეცედენტოდ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. უაღრესად მშვიდი გარემო სუფევდა საარჩევნო უბნებზე. წინა წლებში თუ საარჩევნო უბნებამდე მისასვლელი გზები რიხი პოლიციის მანქანებით იყო ჩახერგილი, 27 ოქტომბერს „მწვანე გზა“ უნდა გაგველო დანიშნულად გილამდე. ვერსად ნახავდით ვერც ვეზულს თანამშრომლებს, ვერც საეჭვო პირთა ჯგუფებს. საკუთარი თავის უფალი იყო ხალხი, ყველანაირი წინაპირობა იყო შექმნილი, რომ არჩევანი ცივი გონებით, ემოციებისა და ზენოლის გარეშე გაეკეთებინათ. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები დიდი აქტივობით ვერ დაიკვეხნის, დილაადრიან, საარჩევნო ყუთებთან, დევნილების და პენსიონერების ნაკადი იდგა. ხმის მიცემის შემდეგ, ისინი ხმამაღლა აფიქსირებდნენ თავიანთ არჩევანს, რწმენას და იმედს გამოთქვამდნენ სახელისუფლებო კანდიდატის მიმართ. ოდნავ, პასიურობდა ახალგაზრდობა, უფრო აქტიური, საშუალო თაობა იყო. როგორც არ უნდა გაუკვირდეს ვინმეს, ბაქრაძეს ახალგაზრდობის არც თუ უმნიშვნელო ნაწილმა დაუჭირა მხარი. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას გაცხადებული აქვს, საქართველოს ევროპისა და ნატოს გარდა, სხვა ალტერნატივა არა აქვს, ახალი თაობის ნაწილი, დასავლურ ორიენტაციის გარანტიად, მაინც, ნაციონალურ მოძრაობას მიიჩნევს. ამ არჩევნებში, საბოლოოდ გასცა პასუხი, თუ ვინ არის სინამდვილეში დასავლური, ევროპული ღირებულების სულისჩამდგმელი და გარანტიც. ოლონდ, ამას, მხოლოდ მაშინ მიხვდები, თუ სადი გონ-

ვინ დარჩა სხლში?

ბით შეაფასებ მიმდინარე პროცესებს. მმართველი გუნდი აცხადებს, რომ არჩევნების დღეს ბევრი მათი ამომრჩეველი სახლში დარჩა, უბრალოდ მათ დაეზარათ არჩევნებზე მისვლა. ვინ დარჩა სახლში? სახლში, მართლა დარჩნენ, ოცნების მხარდამჭერები, ოლონდ ყოფილი. ვინც შარშან, ოცნების თავდაუზოგავი მომხრე, აქტივისტი იყო და სათავეში ედგა ოცნების უბნის თუ მიკროუბნის პარტიულ ჯგუფს, ამ ადამიანებმა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ნეიტრალიტეტი აირჩიეს. ბევრი მათგანი სხვადასხვა პრივილეგიებს, დასაქმებას ელოდა, ზოგს კიდევ კოჰაბიტაცია არ მოეწონა. ოცნების მხარდამჭერთა სწორედ ის სეგმენტი იყო, ვისაც ბურჯანაძე თავის მომხრეებად თვლიდა და მათზე იმედებს ამყარებდა. აქედან, რაღაც ნაწილი მართლა გადავი-

ლია, ხელფასს მიხდინდნენ, მაგრამ შარშანაც ოცნებას მივეცი ხმა. ახლა ოცნების კოორდინატორი ვარ (გამომადგა ნაციონალური დანაწილილი გავისუფლდა ვარ, არავისი მეშინია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მთავარი დასაქმებაა. იმედი, რაღაც გვეშველება ამდენ უმუშევარზე.“ ბ. ბ. მეც ნაცმოძრაობის კოორდინატორი ვიყავი. ხელფასის მხრივ რა შედარებაა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ღირსებაა, ციხის კედლების მერე, მათთან რა მინდოდა. მართალია, უხელფასოდ ვარ, მაგრამ ხვალ რაღაც იქნება. იმედი მაქვს.“ ვინმეს თუ ეგონა, რომ ყველას და ყველაფერს ფულით იყიდდა, ალბათ მიხვდა, რომ ეს თურმე ასე არ ყოფილა. თუ ადამიანებს ღირსებას შეუღალავ, უფლებას აყრი, შემდეგ ოქროს კოშკიც რომ აუგო, არასოდეს გენდობა და ყოველთვის, თუ შანსი მიეცა, აუცილებლად გაგანადგურებს. სწორედ ეს იყო, ნაციონალური მოძრაობის დამარცხების ძირითადი ფაქტორი. კოჰაბიტაცია დასრულდა, როგორც იქნა, პრეზიდენტი და მთავრობა ერთი პოლიტიკური გუნდია. ახლა უკვე ხელისუფლებულ ფაქტორებზე ვერავინ ილაპარაკებს. ფაქტია, ხალხმა ხმა დასაქმებას, სოციალური პრობლემების მოგვარებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მისცა. ღმერთმა ქნას, გამართლდეს რწმენა და იმედი.

ნათი ხაფთაიანი

ალიანსი

რწმენისა და აღმსარებლობის ხელის შეშლისა და საკავშირებითი კანონის სპეციალური მუხლი დაწესება „ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ სპეციალური მუხლი ემატება, რომელიც ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობისთვის ხელის შეშლას ეხება და ასეთ ქმედებაზე ადამინისტრაციული ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებს. აღნიშნული მუხლის საშუალო ვარიანტი ასეთია - ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობისთვის ხელის შეშლა, რაც გამოინახება: რელიგიური სინამდევების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილის საფაროდ გამოხატვაში ან სხვაგვარი დამამცირებელი ქმედებაში, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას; ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლაში; რელიგიური შუღლის და სიძულვილის საფაროდ გამოხატვაში ან ამგვარი ქმედებისკენ საჯაროდ მონიშვნაში; რელიგიური შენობების და სხვა სინამდევების წაბილწვაში, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთებაში ან მათ დაზიანებაში - პროექტის თანახმად, ასეთი ქმედება გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე, ხოლო წლის განმავლობაში მისი განმეორების შემთხვევაში პირი 1000-დან 1500 ლარამდე დაჯარიმდება ან 15 დღემდე. ინტერპრესი



ყოველკვირული ლიტერატურულ-კულტურული ჩანართი №210

„დიდი პრემიერა“, „დიდი თემა“, „სრულიად ორიგინალური რეჟისორი“... ეს გახლდათ იმ ეპითეტების ნაწილი, რომელიც 30 ოქტომბერს კინოთეატრ „რუსთაველში“ ფილმის ჩვენების შემდეგ ისმოდა.

ოცწლიანი პაუზის შემდგომ რეჟისორმა გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილმა საეტაპო ფილმი შექმნა, სათაურით „ჰომლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. ის რომ ფილმი ქართულ-ინგლისურია და რომ იქ ინგლისელი მსახიობებიც მონაწილეობენ, შემთხვევითი არ გახლავთ, რადგან ბატონმა გოგომ და მისმა მეუღლემ მარინა ციციშვილმა, ჯერ კიდევ 1995 წელს, ლონდონში დააარსეს ქართულ-ინგლისური საზოგადოება.

გასულ წელს საპატრიარქოს ტელევიზიამ „ერთსულოვნება“ მოამზადა დოკუმენტური ფილმი „გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი“ (რეჟისორი ზვიად მიქელაძე). გვეჩვენა ძალიან სასიამოვნო და საინტერესო დღეები ბატონ გოგისთან შეხვედრებისა. ვესწრებოდით მისი მომავალი ფილმის, რამდენიმე ეპიზოდის გადაღების პროცესსაც...

ბატონი გოგი საუბარში ეხებოდა ძალიან ბევრ საგულისხმო თემას და ეს ჩვენთვის იყო შეხება „ნამდვილთან“. ის არასოდეს ამბობს იმას, რაც ზოგადად მიღებულია რომ თქვან. ჩვენი ყოფიერების ყალბი პათეტიკით სავსე სამყაროში, ბატონი გოგის აქვს პათოსის და ტრაგედიის დამდებები სისადავე და პიროვნული უბრალოება.

* * *

და მაინც, რაზეა ფილმი? ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მარადი-

ულ ფასეულობებზეა, რასაც ვერასოდეს ჩაანაცვლებს ემპირიული, თუნდაც ყველაზე დამანგრეველი მოვლენები. ფილმში

სურ, რუსულ ენებზე. კლასიკური მემკვიდრეობა ხომ საყოველთაოა, ყველა დროის ადამიანებს აერთიანებს და საზღვრების დე-

დიდი პრემიერა



ჩვენს თვალწინ თამაშდება თითქმის ტრაგიკომედია. სამყაროს კატაკლიზმების, რევოლუციების, კატასტროფების ფონზე მოხუცი ადამიანები (იმ ნიშნით, რომ წლებში მხოლოდ გარეგნულად, ისიც გარკვეული თვალსაზრისით, ცვლის ფაქტურას) საოცარი ერთობაშიაში იწყებენ კლასიკური რეპერტუარის თეატრის შექმნას. კლასიკა აქ შემთხვევით არ არის მოხმობილი. თუნდაც, შექსპირის მონოლოგები ქართულ-ინგლი-

მარკაციული ხაზის პირობითობაზე მიგვანიშნებს. ფილმში მონაწილეობენ ცნობილი ინგლისელი მსახიობები შონ ფილიპსი, როჯერ პინკუფლოიდი, ენ ფენმანქსი, ბილ მაკკალისტერი, დევიდ როუზი, ესპანელი ტაჩია კინტანო... ქართველი მსახიობები: ვახი კაცსაძე, ნუგზარ ჯუღელი, ხათუნა ბოკუჩავა, ჯემალ მელქაძე. განსაკუთრებულ ემოციას გადავს ანაპროფესიონალ მსახი-

ობთა თამაში. ისინი განსხვავებული პროფესიების, განსხვავებული სოცეუმებიდან წამოსული ადამიანები არიან – აკადემიკოსიდან დაწყებული – პოეტით თუ მეძავით დამთავრებული.

მათი პიროვნულობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, არსებობისთვის ბრძოლის მეთოდები და რიტორიკა ორგანულად და შიგნით ფილმის ქსოვილში და შეიძლება ითქვას, დაუვიწყარი სახეებია შექმნილი. ესენი არიან: ჟანა კალატოზიანი, ლენა ბერიძე, აზო ელოიანი, ავთანდილ ხარაიშვილი, ტარიელ ბერიძე, ნოზრევან თავხელიძე, სანდრო თედიანიშვილი (100 წლის ჯამბაში), შოთა ჩაკვეტაძე...

თუ როგორ მოიძია ისინი რეჟისორმა და ერთ მთლიანობაში როგორ მოაქცია, ძნელი სათქმელია და არც სხვა რეჟისო-

თიერთობა უფრო მეტია, ვიდრე დაუსრულებელი ლოზუნგური მოწოდებანი მშვიდობის, ხალხთა მეგობრების და განიარაღების შესახებ.

* * *

ბატონი გოგის საუბრებიდან (ჩაწერილია ჯერ კიდევ ფილმის გადაღებამდე): „წარსულის გამოცდილება ხელოვნებაში არის შენივე წარსული, საკუთარი წარსული, შენი ინდივიდუალობა და არა სხვისი. სხვისი წარსულის გამოვლით, მიმაძღვრებით, თვითონ ვერაფერს გზას. აი, ის, რაც ვიცოდი ცხოვრებიდან, რაც ვისწავლე, იმის გამეორება გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე შესწავლილი რამ. რეჟისურა ისეთი საქმეა, როგორც კომპოზიცია. კომპოზიტორობას ვერ ისწავლი. ეს არის ხედვა. მსახიობები უნდა რაღაცნაირად შემოიყვანო შენს სამყაროში. უნდა შეძლო გამოყენება იმ პოტენციალის, რაც ყველა ადამიანს გააჩნია ცალ-ცალკე. არ შეიძლება ჯერ როლი მოიგონო და მერე დააძლო მსახიობს ის როლი ითამაშოს. შენ ადამიანი უნდა ამოიჩიო, აღმოაჩინო და მერე ამ ადამიანს დაავალო მოცემულ ვითარებაში გამოხატოს თავისი თვისებები. ეს არის ალბათ ყველაზე სწორი.

ვფიქრობ, რომ ექვს თვეში შესაძლოა ასწავლო ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე უნიჭო კაცსაც რეჟისორის ხელობა. მე მაგალითად, დღეს რომ ვკვები მემონტაჟისთან ერთად, წარმოადგენა არა მაქვს ეს ახალი აპარატურა რა არის. ის რაღაც ფორმულაზე მთავაზობს, მაგრამ რა? რა? რად მინდა ამგვარი ცოდნა. უნდა მქონდეს ფანტაზია, კარგად ვერკვეოდე იმაში, რისი გავითვალც მინდა. უნდა ვუმრავლებოდე ჩემს თავს, მერე ვმშვიდდებოდე, მერე ვეკამათებოდე... ეს არის პროცესი ჩემთვის და არა წინასწარ შესწავლილი ხელობა. თუკი უკვე შესწავლილი მაქვს, თუ წინასწარ ვიცი შედეგი, ანუ ვიცი რა გამოვა, აღარ მაინტერესებს და აღარც გადავიღებ.

მთავარი არის იმპროვიზაცია, იმპროვიზის შეგრძნება, აი ეს არის მთავარი.

მე არავის არაფერს ვაძალეებ, უბრალოდ ჩემს სამყაროს ვაჩვენებ მაყურებელს“.

ნიკო სოფიარი.

სურათი: გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი გადასაღებ მოედანზე; კადრები ფილმიდან.



გერმანულენოვანი პრესიდან

Brilliante Brüder namens Gamsachurdia

Zwei georgische Musiker spielten im Elztalmuseum ein Konzert voller dynamischer Ausbrüche

ბრილიანტი ძმები – გვარად გამსახურდიები



ორი ქართველი მუსიკოსი ასრულებდა კონცერტს გერმანიის ქალაქ ვალდჰაიმის (ფრაიზურგთან ახლოს) ელცტა მუზეუმში, როგორც მსმენელი აღნიშნავდა „სრული დინამიური თავაწყვეტით“.

უნაგარო თავგანწირულობით და გზებით უღერდა. ბრილიანტივით დამუშავებული გადასვლა მინორიდან ზომიერ მაჟორზე ანიჭებს გამსახურდიას შესრულებას პლასტიურობას და ერთიმეორეში გარდასვლას უმშვენიერეს ფერთა გამას. შედარებით მოკლე, თითქმის უკვე სიმშვიდის მომგვრელი ანდანტე გადადის ალევრო ვივაჩოზე, რაც თავისი ხმების წყობით და კომპლექსური, პარალელური პასაჟებით უთუოდ ბასს მოგვაგონებს.

გერმანული

ზეიმი ყოველთვის ხანმოკლეა...

– „დღეს ქართველი მხატვრების პირობები ძალიან მძიმეა – ასე დაიწყო თავისი სამადლობელი სიტყვა მხატვარმა ილია პატაშურმა, ზურაბ წერეთლის სახელობის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, საკუთარი პერსონალური გამოფენის დღეს, – მაგრამ გამოიჩინეს ჩემს მიმართ ყურადღება და ეს ექსპოზიცია მომიწყვეს. უსაზღვროდ მადლობელი ვარ... მადლობა ქალბატონ ანა ოქიტაშვილს, ვისი დახმარებითაც ეს შედეგული...“

ფლობდეს ფორმას თუ ფერს, თუ „ის“ ხიბლი არ გაქვს, პოეზია პოეზია არ არის და მხატვრობა არ არის მხატვრობა. ფრანგი პოეტები ამომბდნენ, რომ სიტყვა არის მუსიკისა და ფერის სინთეზი. ამ მხატვრობაში არის თითქოს სიტყვა, მუსიკა, ფერებიც... შემოდგომის ნაჯერი ფერები ამ ნახატებში...



საოკეანე

კაპიტანი პიკი



რუმინელმა უკვე გაუწყო, თბილისში ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ...

რეს მშენებარე ოლიმპიური სოფელი და სპორტული ობიექტები...

რაც იგეგმება. ეს ფესტივალი საქართველოსთვის დიდი გამოწვევაა...

პრესკონფერენციაზე დიდი დრო დაეთმო სოჭის ოლიმპიადის თემასაც...

ლემსო ცინცაძე

ჭაღრაკი

„სოკარის“ თანადგომით

პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა 8-17 ნოემბერს მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს...



ვაჟა ნოსირაძე

კაბნიძე და სოტენაშვილი - პირველ ათეულში

ფიდეში საუკეთესო მოჭადრაკეთა რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალთა პირველ ათეულში არიან ნანა ძაგნიძე და ბელა სოტენაშვილი...



ნო ბაციაშვილი (2425), 54. ლელა ჯავახიშვილი (2423), 85. თამარ წერეთელი (2375), 86. მერი არაბიძე (2374), 88. სოფიკო ხუბაშვილი (2374), 89. მაკა ფურცველაძე (2374), 94. მაია ლომინიძე (2366)...

ლაზა დიღია

ფეხბურთი

„რომა“ „იუვენტუსის“ რეპორტი მოხსნა



„რომა“ იტალიის სერია A-ს მიმდინარე სეზონის საწყის 10 ტურში ყველა მატჩი მოიგო და ამით ტურინის „იუვენტუსის“ რეკორდი მოხსნა...

რუდი გარსიას გუნდი დიდ სათამაშო უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას დასჯერდა...

გიორგი შოთაძე

პარატი

ჩისური ალაფი



25 ძმების 1000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა ჩისურის დედაქალაქ პრაღაში გამართულ კარატისტთა საერთაშორისო ტურნირში...

ჰქონდა, რათა სპორტსმენებს მნიშვნელოვანი შეჯიბრებების წინ საკუთარი შესაძლებლობები შეემოწმებინათ...

გივი გაგუა

ავტოსპორტი

„ფერარი“ „მერსედეს“ პიტ სტოპის მიღწევას ეპილეზა

იბოშონის დიდი პრიზის დროს რომ „მერსედესმა“ პიტ სტოპის რეკორდი დაამყარა, ეს უკვე მოციფციფით, მაგრამ ირკვევა, რომ იმავე რბოლაში ბორბლები ასევე სარეკორდო დროში შეცვალა „ფერარის“ პერსონალმა...

შეგახსენებთ, რომ „მერსედესმა“ ნიკო როსბერგს ბორბლები 2.02 წამში შეუცვალა, რაც 0.04 წამით ნაკლებია „რედ ბულს“ წინა რეკორდზე...



მანუჩარ გიორგაძე

ინტერნეტი

სემსუალები უსრნალისტი მონიკა რიოს პარნაპალზე წარსდგება

ბრაზილიურ ტელევიზიის ვარსკვლავ მონიკა აპორას, რომელსაც სპორტული გადაცემა მიჰყავს, მომავალ წელს რიოს კარნავალზე გინილაფთ. იგი აქტიურად ემზადება სამზარეულო სკოლაში და ამავდროულად „სამეფო დრაკონების“ წარმომადგენელი იქნება კარნავალზე...

მონიკა ასევე აქტიურად ახდენს თავისი სექსუალური სხეულის დემონსტრირებას და არაერთ გულახდილ ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა...



ვიტალი ჯაფარიძე

გაღარჩეული პრეზიდენტი

ბრძოლა, საკუთარი ქვეყნის შენება-ში რა გადამდგომად, — მისთვის ჩვეული რიტორიკა და ამბარტაგებით აცხადებს საქართველოს გაღარჩეულ პრეზიდენტს, — ამ მწკრველ მეთოდებს ცოტად რომ ეცლიათ, ქართველებს ისეთ აყვავებულ ქვეყანას დაველოდებით, რომ თავის დროზე ცნობილ მუშაუბნებსაც კი არ დაესწრებოდნენ. თავის მხრივ პოლიტიკიდან მიმავალი პრეზიდენტი, რომელიც გულს გვიკეთებს, კი არ მივდივარ, მოგვივარად, გვამხმარებს — რახან ეს დინოზავრი (საკაშვილს გულისხმობს) გზიდან ჩამოვიცილოთ, უახლოეს ხანში ისეთ დემოკრატიას ვერ ვხედავთ, განცვიფრებისგან თვეს ვერ მოვუღებთ კი პირდაპირი დარჩენილი.

თლიანი რისხვა დაიმსახურა. ესეც არ იკმარა, მიმართვის შემდეგ სასწრაფოდ აეროპორტში გავარდა და გიგი უგულავასთან ერთად გაურკვეველი მიმართულებით უცხოეთში (როგორც შემდეგ გაირკვა — ბრიუსელში) გადაფრინდა. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილი იქ კებერაშვილის ადვოკატთან შესახვედრად ჩავიდა, რათა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა პირი არ მოადლოს და ყველაფერი არ დაამდგროს. ვერ გეტყვი, კებერაშვილმა სამართლოზე რამდენად ისიცხვებუნა, მაგრამ სამაგიეროდ სააკაშვილმა სტრასბურგში გამგზავრების წინ მოალო პირი და მისთვის ჩვეული გულწრფელობით ტყუილ-მართალი ერთიანად შემოგვასალა. მიმავალმა პრეზიდენტმა

ჩვენი ბაქიბუქა და შარახვეტია პრეზიდენტისგან ამას რომ მოისმენ, უნებურად გონებაში წამოგონტივტივდება საქართველოში შევარდნაძის მმართველობის პერიოდი. მაშინ ხშირად გაიგონებდით, ედუარდ ამბროსოვიჩი გამოცდილი პოლიტიკოსია, მაგრამ ასაკმა უნია, ქვეყანას ძველებურად ვეღარ უძღვება, აჯობებს ქუდი დაიხუროს და პრეზიდენტობას საკუთარი ნებით გამოემშვიდობოს. რაც მართალია მართალია, სააკაშვილის მისამართით ასეთ საყვედურს ვერ გაიგებდით. შეიძლება ეთქვას, ჩვენი პრეზიდენტი შლეგი, გაღარჩეული და დამთხვეულიაო (მსგავს ეპითეტებს თავდაცის მენდა და არა მგონია, გაუკვირდეს), მაგრამ მიშა დაილალო, ასეთი მკრეხელობა, შემძლია ხატზე დავიფიცო, მისი მოღვაწეობის მთელი 9 წლის მანძილზე არავის წამოსცდენია.

მოვიდა დრო, ახლა ჩვენ დავისვენოთ!



მალაო, ხომ არ გადაიღალა?


ისე ვაცმა რომ თქვას, იმ დიდი ნაღვანის დარად, რასაც ჩვენი მაღალი სამშობლოს საკვირდღეოდ ეწოდება, გონებრივი გადატვირთვა თუ არა, ფიზიკური გადაღლილობა მაინც რომ შემწიწიდა, ჩვენ თუ ვერ მივხვდით, თავად მიშას ხომ მაინც უნდა ეგრძნო და აღმაშენებლობის ტემპი ოდნავ მაინც შეენელებინა? თქვენც არ მომიკვდეთ, სააკაშვილს პირველკაცობიდან წასვლის შემდეგაც არ სურს გამოგვიტყდეს გადაღლილობაში და აქეთ გვიკიჟინებს — ცოტაც რომ დაძვლოდა, ნახავდით რა სასწაულებს მოვასდენდი, ზღაპრულ ლაზიკას თუ ვერ დავასრულებდი, დედაქალაქის გარშემო დაწყებული თავდაცვის ბუდეების აგებას მაინც მოვასწრებდი და თბილისს რუსების აგრესიის ამარა არ დაეტყვებდით. აბა, ვაცო, სააკაშვილს დაღლაზე მეტად მოსწონს რომ არ ვაძვალეთ, ახლა ამის გამო რუსებმაც კი იცინან, რომ თბილისი დაუცველი დაგვრჩა. ვერაფერს იტყვი, იმ შემთხვევაში მაინც ჩვენმა ფაციფუცა და აჩქარებულმა პრეზიდენტმა ყველაფერი წინასწარ განჭვრიტა, გარდა ერთისა — ვერ გაითვალისწინა, რომ საკუთარი სისულელეებისგან შეიძლება თავად არა, მაგრამ ახსიულელების მაყურებელი ხალხი დალილიყო და პეტროვიცია წაეყენებინა: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ შეიძლება მართლაც არ გჭირდებოთ დასვენება, მაგრამ მოვიდა დრო, თქვენი სისულელებისა და ხუმრულებისგან ჩვენ დავისვენოთ!

ტმა სევდანარევი ხმით მოგვითხრო იმის თაობაზე, რაც წინამორბედის, ანუ შევარდნაძის კაბინეტში მემკვიდრეობით დახვდა: „წლის კასრი, რადგან წყალი სწორად არ მოდიოდა, დენის გენერატორი, რადგან დენი სწორად ითიშებოდა და კატა, რადგან იქაურობა ვირობებოდა და თავებზე იყო სახსე“.

ახლა უკვე გადარჩეულ პრეზიდენტს რატომღაც დაავინყდა, ბოდიში მოეხადა პირადად მოსახლეობის იმ უდიდესი უმრავლესობისთვის, რომლის ერთი ნაწილი სააკაშვილის ნაჩქარევი რეფორმების, სულსწრაფობისა თუ უტივინო პოლიტიკის წყალობით იქცა საკუთარი სამშობლოს მიწა-წყლიდან დევნილად, მეორე ნაწილი — უმუშევრად და ქონებადკარგულად, ხოლო სხვანი და სხვანი — ხანგრძლივი შიმშილისთვის განწირულად.

ანზორ შონიას გახსენება

დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი...



ერთი წელიწადი მიილია ანზორ შონიას გარდაცვალებიდან. ტკივილისა და სევდის განვლების მაგივრად, უფრო მოგვეძალა მისი მონატრება და სიყვარული.

გიორგი შენგელაია, გოგი ქავთარაძე, დიმიტრი ჯაიანი, გურამ ფირცხალავა, ჯემალ კვიციანი, ოთარ ჭითანავა, ვილენ მარდალავიძე დიდი მწიგნობრებს გამოთქვამენ კინოფილმ „მაცი ხვითაში“ მთავარი როლის შემსრულებლის

ბ ა ნ ს ს ა დ ე ბ ა

ა/წლის 4 დეკემბერს შედგება ს/საზოგადოება ტრანსკვებ-სერვისის „ალავერდის“ საერთო კრება.

დღის წესრიგი:

- 2012 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში და მიმდინარე წლის ამოცანები.
- (მომხსენებელი გენ. დირექტორი ნ. გომურაშვილი);

2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის არჩევა.

ს/საზოგადოების ლირაქმია 1.11.2013 წ.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

საქართველოში 8 ნოემბრის ჩათვლით გზიანი ავიაიქნება

რუმორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილემ ნინო წვერავამ განუცხადა, შესაძლოა, ამაღლი და სვალ დილით თბილისში იყოს მცირე ნალექი და ღრუბლიანობა, თუმცა, დღის მეორე ნახევარში გამოიძარებს. შაჟერის ტემპერატურა დედაქალაქში კი 8 ნოემბრამდე 22 გრადუსამდე აიწევს.

სულიერება

დიმიტრის შაბათი

2 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მიცვალებულთა დღეს აღნიშნავს. ეკლესია მოისვენებს სარწმუნოთა და სასობიტო მიცვალებულ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს.

რულებინათ წმინდა დიმიტრი თესალონიკელის ხსენების დღის (8 ნოემბრის) წინა შაბათს, სწორედ ამიტომ ეწოდა „დიმიტრის შაბათი“.



გიული ლიპარტიანი

ჩვენი პრესლაიფსტი

კაპიტალიზმი ვახსენებთ



„ახალ პრეზიდენტს დავაცდით ცოტა ხანს და მერე ჩვენ თვითონ მივხედავთ სამართლიანობის აღდგენას, - აცხადებს ნანა კაკაბაძე, რომელმაც პირადად შეისწავლა საარჩევნო ოქმები და სახტად დარჩა. რამ გააოცა ასე უფლებადამცველი, თვითონ ყველა: - ძალიან ბევრ არჩევნებს დავსწრებივარ, მაგრამ ასეთი რამ არასდროს ყოფილა, - „ქართული ოცნება“ და „ნაციონალები“ იყვნენ აბსოლუტურ ჰარმონიაში, მათ მშვიდად გაიყვეს ხმები. უკეთესს გეტყვით: მაგ დღეს საბურთალოზე მოვხვედი და ჩემი თვალით დავინახე, შუადღეს, ნუცუბიდის მე-4 პლატოდან როგორ ჩამოიარა მანქანების კოლონამ, დაახლოებით 30-მდე მანქანა იქნებოდა, რომლებსაც ფანჯრიდან ერთ მხარეს „ნაციონალური მოძრაობის“ დროშა უფრიალებდათ, მეორე მხარეზე კი „ქართული ოცნების“ და გოგონა რუპორით გაიძახოდა: „ხმა მიეცით, ქართული ოცნებას“ და „ნაციონალური მოძრაობას“. ძალიან დამწყდა გული, რომ ეს „უძვირფასესი კადრები ვერ გადავიღე“...

„ალია“

გაყიდვის ნაცვლად

ნახევარსაუკუნეობანი იჯარა

სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარით გაცემა აღდგება. ეს ნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც მიწების 2015 წლამდე ყიდვა აკრძალა, იჯარით სარგებლობა შეეძლებათ. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მიწების დროებით სარგებლობაში გადაცემის მაქსიმალური ზღვარი 49 წელია. იჯარის აღდგენის ინიციატივა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის.



„რეზონანსი“

მსოფლიოს ღვინის დიფიციტი ემუქრება

შარშან ღვინოზე მოთხოვნამ 300 მილიონი ყუთით გადააჭარბა, რაც ბოლო 40 წლის განმავლობაში, უმაღლესი მაჩვენებელია, არაა, ერთ-ერთი ამერიკული საფინანსო კომპანია აცხადებს, რომ მსოფლიოს ღვინის დიფიციტი ემუქრება. 2012 წელს ღვინის წარმოების დონე, 40 წლის განმავლობაში, ყველაზე დაბალი იყო. ღვინის წარმოების დონე, 2004 წლის პიკის შემდეგ, ეცემა - 2004 წელს წარმოებულმა სასმელმა მოთხოვნას 600 მილიონი ყუთით გადააჭარბა.

„ვირსია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კაღრი



ფინომენი

დრო XXI საუკუნეში

მკვლევარებმა უცნაურ ფენომენს მიაქციეს ყურადღება: ახლა დრო მართლ უფროსი თაობისთვის კი არა, ახალგაზრდებისთვისაც გაცილებით სწრაფად გადის.

ფიზიოლოგიური მინიმუმია, რომელიც თანამედროვე ადამიანს არა მარტო გარე სამყაროს ადექვატურად აღსაქმელად, არამედ ნაწილობრივ სრული კმაყოფილების მისაღებადაც საკმარისი, - ასკენის მეცნიერი.

მაგრამ, ხუთი წამი „ჯოკონდას“ აღსაქმელად ხომ სასაცილოდ ცოტა დროა! ფაქტობრივად გამოდის, რომ პორტრეტის დასათვალიერებლად მეტი დრო ალარ არის. მაშ, სად მიდის დრო?

კაცობრიობის ნახევარზე მეტი კომპიუტერების წინ მკვიდრად „დაბანაკდა“ XX-XI საუკუნეების მიჯნაზე, ამიტომ მისი ცხოვრება უკვე აღარასოდეს განდგება ისეთი, როგორც წინა საუკუნეებში იყო - ახლა ის, რასაც ჰქვია, გაჭენდა. უამრავ ადამიანს ელემენტარული წერილის დაწერა ალარ შეუძლია, რადგან ბავშვობიდანვე სმს-ებით ურთიერთობს ახლობლებთან. ხალხს დიდი მხატვრული ნაწარმოებების კითხვა ალარ უნდა, თუმცა კი, ყოველდღიურად ინტერნეტში ათას გვერდზე უამრავ სისულელეს სიამოვნებით ათვალიერებს. მეცნიერები ამტკიცებენ: ქსელის აქტიურ მომხმარებლებს არა მარტო მოქცევის, არამედ აზროვნების სტილიც კი ეცვლება, რადგან ინტერნეტი კონცენტრირებისა და დაკვირვების უნარს აკნინებს, რის შედეგად ტენი ინფორმაციის მიღებას იმ ფორმით ელის, როგორც მას ქსელი ავრცელებს. ამის გამო აზროვნება წყვეტილი, კითხვა კი ზედაპირული ხდება, რის შედეგად ჩვენ უბრალოდ „ინფორმაციის გამშიფრებლები“ ვხდებით.

ფსიქოლოგიაში რამდენიმე წესი არსებობს, რომელთა „მოქმედების“ დრო „იკუმშება“: ეს მაშინ ხდება, როცა რაღაც საქმით ძალიან გართულები ვართ, არ ვცვლით ჩვენთვის ჩვეულ გარემოს, მინიმუმამდე დაგვეყვას ფიზიკური და ფსიქიკური დისკომფორტი. სწორედ ასეთი ცხოვრებით ცხოვრობს უამრავი ხალხი კომპიუტერთან, ვისაც მონიტორს ვერავითარი ძალა ვერ მოაცილებს. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ცხოვრება ასე უსწრაფესად გადის.



შენიშნა - იგი ლუვრში ტურისტებს აკვირდებოდა და აღმოჩნდა, რომ თითოეულ სურათს მხანგრძობი არა უმეტეს ხუთი წამისა ათვალიერებდნენ. ამდენივე დროს გახარჯავთ ჩვენ კომპიუტერის ან სმარტფონის ეკრანზე ფოტოების დათვალიერებას. მეცნიერები აცხადებენ: ადამიანს დათვალიერების სტრატეგია შეეცვალა.

ცინცხალი ანაკლოტი

- საშინლად დავიღალე, წუხელ მთელი ღამე კარტოფილის მოსავალს ვიღებდი, - ეუბნება ტიპი ქმაკაცს. - რატომ ღამე, დღისით ვერ იმუშავებდი? - დღისით ჩემსას ავიღებ.

ვედიულობ ამ ბანკს, ჩემს თავს ვაძლევ ამ სესხის გადაუხდელობის უფლებას და მორჩა - მე ოლიგარქი ვარ!

ნარკომანებმა ბანდიტი დაიჭირა ოქროს თევზი. ხელში ათამაშებს, არ იცის, რა უყოს. - ჩაიფიქრე სურვილი - ეს რა არის? - როგორ აგინსნა? გუშინ, მაგალითად, ერთმა ტიპმა დაიჭირა - ასი მილიონი მომეცით. მივეცი. შენ კი რას მთხოვ? - იმ ტიპის მისამართს!

მოკლედ, ასე - ვსესხულობ ბანკიდან ერთ მილიარდ დოლარს,



Advertisement for Sakartvelos Respublika newspaper, including contact information, subscription rates, and a barcode.